ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

თბილისი **2018 წლის 16 იანვარი**

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. "თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი"** წარმოდგენილი მისი მენეჯერის ლაშა ქევანიშვილის (პ/ნ 01024006506) მიერ (შემდგომში "გამქირავებელი") და მეორე მხრივ, ს.ს. "თიბისი ბანკი" (შემდგომში "დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი სტრატეგიული საოპერაციო პროექტების განყოფილების მენეჯერის ლევან ილურიძის (პ/ნ 01013007067) სახით (რომელიც მოქმედებს ოპერაციული დირექტორის მიერ 18.12.2017წ. გაცემული №299/107-46 მინდობილობის საფუძველზე), ვდებთ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გამქირავებელმა ქირავნობით გადასცა, ხოლო დამქირავებელმა ბანკომატის დამონტაჟების მიზნით იქირავა უძრავი ქონება (შემდგომში „ქირავნობის საგანი").

1.2 ქირავნობის საგანია **2 (ორი) კვ.მ** არასაცხოვრებელი ფართობი, მდებარე **ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 9, საკადასტრო კოდი №**01.18.04.002.004 ქირავნობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამქირავებელს.

1.3 გამქირავებელი ვალდებულია წარუდგინოს დამქირავებელს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქირავნობის საგანი, ნამდვილად წარმოადგენს 1.2 პუნქტში დასახელებული პირის საკუთრებას და რომ ეს პირი თანახმაა ამ ხელშეკრულების დადებაზე.

2. ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა

2.1 ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის ათვლა დაიწყება 2018 წლის 16 იანვარს და ძალაში იქნება 2020 წლის 16 ნოემბრამდე.

2.2 ვადის ათვლა დაიწყება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე არც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე წერილობით არ გამოთქვამს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის სურვილს, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად იგივე ვადით. იგივე წესი იმოქმედებს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელებისას.

2.4 დამქირავებელს ნებისმიერ დროს შეუძლია შეამციროს ქირავნობის საგნით სარგებლობის ვადა, ან შეწყვიტოს ქირავნობის საგნით სარგებლობა 60 (სამოცი) დღით ადრე გამქირავებლისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ შემთხვევაში დამქირავებელი აღადგენს ქირავნობის საგნის დაქირავებამდელ მდგომარეობას.

2.5 გამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქირავებელს ქირავნობის საგნით სარგებლობის შეწყვეტა 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით..

2.6 გამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით.

3. ქირის ოდენობა და გადახდის წესი

3.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ყოველთვიური ქირა განისაზღვრება 300 ა ლარის დღგ-ს. ჩათვლით

3.2 ქირის გადახდა დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ და გადახდილი იქნება არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვისა, გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის გზით.

გამქირავებელი

დამქირავებელი

4. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

4.1 გამქირავებელი ვალდებულია:

4.1.1 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს დამქირავებელს ქირავნობის საგანი ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.1.2 გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.1.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში გადაიხადოს ქირავნობის საგანთან და ქირასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადი მათ შორის ელ.ენერგიის გადასახადი. დამქირავებლის მიერ ამ ხელშეკრულების 4.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ყველა საჭირო საშუალებით (მათ შორის შესაბამისი საბუთების ხელმოწერით) დაეხმაროს დამქირავებელს შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მიღებაში;

4.1.4 არ ჩაერიოს დამქირავებლის საქმიანობაში და ხელი შეუწყოს დამქირავებელს ქირავნობის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში;

4.1.5 დაუყოვნებლი აცნობოს დამქირავებელს შემდეგ სატელეფონო ნომრებზე: 032 911 140 – ცხელი ხაზი და 599 38 77 44 – მალხაზ გორგაძე, ნებისმიერი ბანკომატთან დაკავშირებული საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ, რაც დაკავშირებული არ არის ბანკომატის პირდაპირი დანიშნულების გამოყენებასთან. საეჭვო და საგულისხმო ფაქტში იგულისხმება მათ შორის, მაგრამ არასრულად: ქურდობა ან ასეთის მცდელობა, ძარცვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის დაზიანება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის განადგურება ან საეჭვო და საგულისხმო ფაქტის შესახებ ბანკომატთან გადამეტებული ძალის გამოყენება ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის ელექტრონული საშუალებით მიერთება ან ჩართვა და სხვა ან ასეთის მცდელობა, ბანკომატის მთლიანობის ნებისმიერი ფორმით დაზიანება ან შეცვლა ან ზემოქმედება ან ასეთის მცდელობა.

4.1.6 უზრუნველყოს დენის წყაროს მიყვანა ბანკომატამდე და ხელშეკრულების საგნისათვის 24 საათიან რეჟიმით ელ.ენერგიის მიწოდება;

4.1.7 გადაუდებელ შემთხვევებში (ღამის საათებში და არასამუშაო დღეებში) უზრუნველყოს დამქირავებლის დაშვება ხელშეკრულების საგანთან (ბანკომატთან);

4.2 გამქირავებელი უფლებამოსილია

4.2.1. დამქირავებლის მიერ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირობების დარღვევის შემთხვევაში შეუწყვიოს დამქირავებელს ელ. ენერგიის მიწოდება, ხოლო სამი თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.3 დამქირავებელი ვალდებულია:

4.3.1 ქირავნობის საგანი შეინახოს ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შენობის ნორმალური ცვეთა და დაუძლეველი ძალით ზიანის მიყენება.

4.4 დამქირავებელს უფლება აქვს:

4.4.1 საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი ხარჯებით შეაკეთოს და გაარემონტოს ქირავნობის საგანი.

4.4.2 გამქირავებელთან შეთანხმებით დაკიდოს და გამოაკრას აბრები (მათ შორის სარეკლამო ინფორმაციის შემცველი) ქირავნობის საგნის შიდა და გარე კედლებზე.

5. სხვა პირობები

6.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეებს შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

6.2 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

6.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე და წარმომადგენლობაზე.

6.4 ეს ხელშეკრულება წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.5 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

6.6 ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

გამქირავებელი

დამქირავებელი

6.7 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის, ერთი რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ.თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ

“ გამქირავებელი”
შპს “თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი”
მის.: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #9
ს/კ: **204380035**

ანგ №GE27TB0800000001467188

“დამქირავებელი”
სს „თიბისი ბანკი“
მის.: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7
ს/კ: 204854595

გამქირავებელი

დამქირავებელი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

892018052917

განცხადების რეგისტრაციის დრო
23 იან 2018 11:29

გადახდის ნომერი: **NW 15717117**
განცხადების ნომერი: 15717117
განცხადების მიღების დრო: 23 იან 2018 11:29

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: სს თიბისი ბანკი /204854595/) რომლითაც მოთხოვნილია ქირავნობის უფლების წარმოშობის რეგისტრაცია უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 9 (ზონა:თბილისი, სექტორი: კრწანისი)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. ქირავნობის უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი

მომსახურების ვადა: 4 დღე.
საფასური: 55 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

ს/კ 204380035

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“ თანახმაა, რომ სს „თიბისი ბანკმა“ განათავსოს ბანკომატი კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე.

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N9

საკადასტრო კოდი: 01.18.04.002.004

მენეჯერი: ლაშა ქევანიშვილი

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათასჩვიდმეტი წლის ცხრამეტ ივლისს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **ლაშა ქევანიშვილმა.** წარმოადგინა მის მიერ მომზადებული განცხადება, ერთ გვერდზე, ერთ ცალად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი ჰირადობა მის მიერ წარმოდგენილი ჰირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა ბატონმა **ლაშა ქევანიშვილმა,** დაბადებულმა 1975 წლის 15 მაისს თბილისში, ჰირადი №01024006506, რეგისტრირებული ქ.თბილისში, ბუდაჰეშტის ქუჩა №13ა, ბინა 4.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. განვუმარტე, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ ჰირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, ჰასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე. ამ განმარტებების შემდეგ ქალბატონმა მაკა შატბერაშვილმა ჩემი თანდასწრებით ჰირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე. ვამოწმებ მისი ხელმოწერის სინამდვილეს, ერთ გვერდზე, ერთ ცალად.

გადახდილია 4,36 ლარი - აქედან: სახელმწიფო 2,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა ჰალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის სახელმწიფო, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0,36 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მასხულია

შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170816498
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.07.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42691571311917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18